

# ოლიმპიურ ტალღაზე




## 72 წლის ტრადიცია იცვლება

72 წელს ითვლის თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორია. ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა ზაფხულის 18 და ზამთრის 10 ოლიმპიადა და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოლიმპიური ჩირაღდანი ქალს აენთოს.

მეხიკოში ეს ტრადიცია შეიცვლება. ოლიმპიური თამაშების ცეცხლს აგიზგიზებს მექსიკელი სპორტსმენი ქალი ნორმა ენრიკუეტა ბაზილიო. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ხუან მანუელ გალიასტეგიმ განაცხადა:

„ჩვენ უნდა სათანადო მივუზღოთ მექსიკელი ქალის მიერ საუკეთესო თვისებათა გამომჟღავნებას თავისი ქვეყნის ისტორიაში. ამიტომ დავავალეთ ოლიმპიური ცეცხლის ანთება ენრიკუეტა ბაზილიოს".

ე. ბაზილიო მექსიკის ჩემპიონია 400 მეტრზე რბენაში და რეკორდსმენი — 80 მეტრზე თარჯრბენში. მისი მამა გრძელ მანძილებზე მორბენალი იყო, დედა კი სპრინტერი.

ენრიკუეტა ბავშვობიდანვე თამაშობდა კალათბურთს, მისდევდა მძლეოსნობას და სხვა სახეობებს.

ს უ რ ა თ ზ ე: ენრიკუეტა ბაზილიო.

ტოკიო. იაპონელ ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიური გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ტ. სასანომ განაცხადა, რომ მეხიკოში ვაჟთა შორის აბსოლუტური პირველობისთვის ბრძოლა გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონ მ. ვორონინსა და ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონ ა. ნაკაიამას (იაპონია) შორის. „ეს იქნება უმაღლესი კლასის ოსტატთა ბრძოლა, სადაც ყოველი წვრილმანი შეცდომა დამარცხებას ნიშნავს", — თქვა სასანომ. — ქალებში აბსოლუტურ პირველობას გაითამაშებენ ვ. ჩასლავსკა და ნ. კუჩინსკაია.

იაპონიის ვაჟთა ნაკრებს, რომელშიც შედიან 20 წლის ტანმოვარჯიშეები ს. კატო, ე. კემოცუ, მ. ცუკახარა, ვეტერანები — ნაკაიამა, ტ. კატო, ი. ენდო და ტ. ხაიატა, სასანოს აზრით, შეუძლია იქონიოს გუნდური პირველობისა და ცალკეულ სახეობებში ოქროს 5 მედლის მოპოვების პრეტენზია.

ფრაიბურგი. გფრ-ის ამ ქალაქის უნივერსიტეტის კლინიკაში გამოჩნდა ახალი პაციენტი — ეთიოპიის იმპერატორის გვარდიის ლეიტენანტი, 36 წლის აბებე ბიკილა. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მარათონულ რბენაში გაივლის გამოკვლევას, რომელიც ერთ კვირას გასტანს. ბიკილას მუხლი აქვს ნატკენი და შეიძლება ოპერაცია დასჭირდეს. ექიმები შიშობენ, რომ გამოჩენილი ეთიოპიელი მორბენალი მეხიკოს ოლიმპიადაში თავის ტიტულს ვერ დაიცავს. თუმცა უნდა გავიხსენოთ, რომ ბიკილა ტოკიოს ოლიმპიადის სარბიელზეც თითქმის პირდაპირ საოპერაციო მაგიდიდან გავიდა. მაშინ მას აპენდიქსი ამოაჭრეს. გავიდა და დიდი უპირატესობით დაჯაბნა კიდეც ყველა მეტოქე.

ჰელსინკი. ფინეთის მძლეოსნობის ფედერაციამ ოლიმპიური გუნდისთვის შერჩეულ სპორტსმენთა ჯგუფში დაასახელა 22 წლის ჭოკით მხტომელი ა. ალაროტუ. იმავე დღეს ალაროტუმ დაამტკიცა, რომ სპორტული ხელმძღვანელები არ შემცდარან: ქალაქ მიკელიში მან 526 სმ დაძლია. ეს ფინეთის ახალი რეკორდი და სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევაა მსოფლიოს სტადიონებზე.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 151 (3635)

3 1968 წ. აგვისტო, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 25-ე წელი.


## მაქს ეივე თბილისში ჩამოდის

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმისა და სსრ კავშირ — ნიდერლანდების მეგობრობის საზოგადოების მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრად ჩამოდის ჭადრაკში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დოქტორი მაქს ეივე (ჰოლანდია) მეუღლითურთ.

ეივეს განზრახული აქვს იმოგზაუროს საქართველოსა და შორეულ აღმოსავლეთში. მასთან ერთად ჩამოვა საერთაშორისო ოსტატი ა. მიურინგი (ჰოლანდია). საქართველოში სტუმრებს ჩამოჰყვება დიდოსტატი ს. ფლორი, შორეულ აღმოსავლეთში კი მათი მეგზური იქნება სსრ კავშირ—ნიდერლანდების მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე, დიდოსტატი მ. ბოტვინიკი.

მ. ეივე და მისი თანმხლები პირნი თბილისს 10-11 აგვისტოს იქნებიან, სოხუმში — 12-13 აგვისტოს.

ჰოლანდიელი დიდოსტატი წაიკითხავს ლექციას—„ბრძოლა მსოფლიო პირველობაზე ალიოხინთან მატჩსა და მატჩ-რევანშში (მოგონებები)" და გამართავს ერთდროული თამაშის სეანსს. თბილისელ მოჭადრაკეებს საერთაშორისო ოსტატი ა. მიურინგიც შეხვდება.

# ფესტივალის სპორტული სიჭაბუკე

სოფია, 1 აგვისტო. აქ რამდენიმე დღეა გრძელდება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალი. სიჭაბუკის ამ დღესასწაულზე დიდი ადგილი ეთმობა სპორტულ შეჯიბრებებსაც. საფესტივალო ბულგარეთის ბევრ ქალაქში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ფერად-ფერად სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილ, მზით გარუჯულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ისინი აქ ჩამოვიდნენ თავიანთ ეროვნულ დელეგაციებთან ერთად, რათა მონაწილეობა მიიღონ პლანეტის ახალგაზრდობის ფორუმში. სტადიონებზე, ცისფერ ბილიკებზე, სპორტულ მოედნებზე ასპარეზობენ ყველაზე ჯანმაგარნი, სწრაფნი, მოქნილნი. ფესტივალის სპორტული ტურნირის „გეოგრაფიას" სოფიის ჩათვლით 14 ქალაქი შეადგენს.

პროგრამა მდიდარი და მრავალფეროვანია: ჩოგბურთი, კრივი, ცურვა, კალათბურთი, ველორბოლა, ძალოსნობა. საბჭოთა სპორტის ახალგაზრდა წარგზავნილები ყველაზე ფართო მონაწილეობას ღებულობენ საფესტივალო „ოლიმპიადაში". საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში 62 ქალაქის 130 წარმომადგენელი შედის.

დამთავრდა შეჯიბრება სოფიის „სპარტაკის" აუზის ბილიკებზე. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ტოლი არ ჰყავდა საბჭოთა სპორტსმენს ტ. ჯენეევას (359,25 ქულა). მას 50 ქულაზე მეტით ჩამორჩნენ ბულგარელი სპორტსმენები კ. ტაშევა და მ. ალექსანდროვა, რომლებმაც შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

200 მეტრზე ბრასით ცურვაში ფესტივალის ახალი რეკორდი დაამყარა საბჭოთა მოცურავე ქალმა ვ. ბურკაუსკაიტემ — 2.53,8. ბულგარელმა ი. რუსევმა მხოლოდ ზედ ფინიშთან მოახერხა 400-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვება. სსრ კავშირის წარმომადგენელი გ. დავიდოვი მას 0,6 წამით ჩამორჩა. 100 მეტრზე ცურვაში ჩემპიონობა ბულგარელ ჟ. სლავჩევას სულ 0,2 წამით დაუთმო ი. პავლოვამ.

ტურნირი დამაჯერებლად დაიწყეს საბჭოთა კალათბურთელებმა. ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა ტუნისის გუნდი ანგარიშით 81:18, ქალთა გუნდმა — რუმინელი სპორტსმენები — 92:33.

ტემპი აიღეს ფრენბურთელებმაც. ჭაბუკებს აქტივში აქვთ 2 გამარჯვება საფრანგეთის და ლიბანის სპორტსმენებთან (ერთნაირი ანგარიშით — 3:0). სსრ კავშირის ქალთა გუნდმა შეჯიბრების დასაწყისში წაიფორხილა — დამარცხდა უნგრელ ფრენბურთელებთან. ახლა მან პოლონელებთან მატჩში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 3:0.

საინტერესო იყო ველოსიპედისტთა შეჯიბრებაც. 100 კილომეტრზე საგზატკეცილო რბოლაში პირველი იყო პოლონეთის გუნდი. საბჭოთა სპორტსმენები V ადგილზე გავიდნენ.

სოფიაში თავისებური რეკორდი დაამყარა სსრ კავშირის არა მხოლოდ სპორტულმა ჯგუფმა, არამედ მთელმა დელეგაციამაც. ფორუმის საბჭოთა მონაწილეებმა წარმატებით ჩააბარეს ფესტივალის სპორტული ნიშნის ნორმები.

უახლოეს ხანში სპორტულ ესტაფეტას პლოვდივში მიიღებენ ჩოგბურთელები და მოკრივეები, ხასკოვოში — მოჭიდავეები, ვიდინში — ძალოსნები. მოუთმენლად ელიან ფეხბურთელთა ბრძოლას, რომელიც გაჩაღდება სოფიაში, ბურგასში, ვრაცაში და სხვა ქალაქებში.

ფესტივალის მოზაიკაში გამოკვეთილია სპორტული პროგრამის სხვა ღონისძიებებიც. თეატრალური ხელოვნების უმაღლესი ინსტიტუტის დარბაზში გახსნილია საერთაშორისო სპორტული კლუბი, სადაც მოეწყო სპორტული ლიტერატურისა და ფოტოგრაფიის გამოფენები. იქვე განლაგებულია პლაკატებისა და საფოსტო ნიშნების ექსპოზიციები.

დედაქალაქის კინოთეატრ ვიტიშში ამ დღეებში ტარდება საერთაშორისო დისკუსიები თემაზე: „სპორტში რასიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს". საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონი კრივში ვ. პოპენჩენკო და ცნობილი ველომრბოლელი გ. ა. შური (გდრ).

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სპორტსმენთა ალლუმი ფესტივალის საზეიმო გახსნისას ვ. ლევსკის სახელობის სტადიონზე; ტანმოვარჯიშეთა მასობრივი გამოსვლა.

ტელეფოტო ვ. ბუდანის და ა. კუზიარინისა (საკდეს).







ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პირველობა კალათბურთში

# ...და მაინც ახალი სისტემის მომხრე ვართ

საქართველოს პირველობა კალათბურთში წლეულს ახლებურად ტარდება. ტურნირის პირველ ეტაპზე (რომელიც უკვე დამთავრდა) გუნდები ფინალში გასვლის უფლებისთვის იბრძოდნენ. ვაჟები სამ შესარჩევ ჯგუფში ასპარეზობდნენ, ქალები — ორში. პირველ ეტაპზე გამარჯვებული ვაჟთა ორ-ორი (სულ 6) და ქალთა სამ-სამი (აქაც — 6) კოლექტივი განაგრძობს ბრძოლას რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის. ფინალი ჩატარდება შემოდგომაზე თბილისში. გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან წრიული სისტემით.

(ჩემპიონატის დებულებიდან).

### ვაჟები

#### 29 ივნისი-3 ივლისი. თბილისი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სინათლე“ (თბილისი) | 4 | 4 | 0 | 8 |
| უნივერსიტეტი (თბილისი) | 4 | 3 | 1 | 7 |
| სპი (თბილისი) | 4 | 2 | 2 | 6 |
| „განთიადი“ (თბილისი) | 4 | 1 | 3 | 5 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 4 | 0 | 4 | 3 |

**ფინალისტები:** „სინათლე“, უნივერსიტეტი.

**შენიშვნა:** აქ და ყველგან გუნდებს მოგებისთვის ეწერებათ 2 ქულა, წაგებისთვის — 1, გამოუცხადებლობისთვის — 0. მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელები ერთ შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ. ამიტომაც აქვთ მათ 3 და არა 4 ქულა.

**29 ივნისი.** „სინათლე“ — სპი 57:47, უნივერსიტეტი — „განთიადი“ 88:60; **30 ივნისი.** „სინათლე“ — უნივერსიტეტი 87:80, სპი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 60:54; **1 ივლისი.** უნივერსიტეტი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 85:54, „სინათლე“ — „განთიადი“ 64:36; **2 ივლისი.** „განთიადი“— ფიზკულტურის ინსტიტუტი 44:40, უნივერსიტეტი — სპი 62:47; **3 ივლისი.** სპი — „განთიადი“ 50:48, „სინათლე“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი +:—

„სინათლის“ („სპარტაკი“) თამაშის ავკარგიანობის შესამოწმებლად სრულიადაც არ არის საჭირო მისი ნახვა მოედანზე, უშუალოდ მატჩის დროს. საკმარისია გადავხედოთ ტექნიკურ ოქმებს, წამით შევჩერდეთ გუნდის შემადგენლობაზე და ადვილად დავრწმუნდებით, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ამ გუნდის წარმატება სავსებით კანონზომიერი იყო: „სინათლის“ სასტარტო ხუთეულში 3 ადგილი კალათბურთის ძველი სახელოვანი გვარდიის წარმომადგენლებს გ. მინაშვილს, რ. გოგელიასა და მ. ასიტაშვილს უკავიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „სინათლე“ ქულას ახირებულად არ დაკარგავს.

მართალია, ერთ მატჩში (უნივერსიტეტთან) მას მაინც გაუჭირდა, მაგრამ ეს იყო თანაბარი სიძლიერის მეტოქეთა შეხვედრა, სადაც გამარჯვება სპარტაკელებმა მხოლოდ მეოთხე დამატებითი 5 წუთის შემდეგ იზეიმეს. უნივერსიტეტის კალათბურთელები საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები არიან და მათი ადგილი ფინალურ ტურნირში კანონიერია.

მთელს ჩემპიონატში სათამაშო რეგლამენტის დარღვევის ერთადერთი შემთხვევა სწორედ ამ ჯგუფში მოხდა: ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი არ გამოცხადდა „სინათლესთან“ სათამაშოდ. მართალია, ამ მატჩის შედეგი გუნდების სატურნირო მდგომარეობას არ შეცვლიდა, მაგრამ დაუშვებელმა თვითნებობამ მაინც უსიამოვნო კვალი დატოვა.

#### 30 ივნისი-2 ივლისი. სოხუმი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 3 | 3 | 0 | 6 |
| აფხაზეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| რუსთავი | 3 | 1 | 2 | 4 |
| აჭარა | 3 | 0 | 3 | 3 |

**ფინალისტები:** ქუთაისი, აფხაზეთი.

**30 ივნისი.** ქუთაისი — აჭარა 71:39, აფხაზეთი — რუსთავი 77:66; **1 ივლისი.** რუსთავი — აჭარა 60:44, ქუთაისი — აფხაზეთი 61:50; **2 ივლისი.** ქუთაისი — რუსთავი 58:33, აფხაზეთი — აჭარა 70:63.

ამ ჯგუფის მონაწილეთა ტექნიკურ მომზადებაზე ლაპარაკი ძნელია, ვინაიდან შეხვედრები ტარდებოდა უკვე მოდიდან გამოსულ მიწის მოედანზე. სხვათა შორის, ხისსაფარიანი იატაკი არ იყო მხოლოდ სოხუმში, დანარჩენ ქალაქებში კი გუნდები ნორმალურ მოედნებზე თამაშობდნენ. ამბობენ, აფხაზეთის დედაქალაქში სულ მალე დაიწყებენ თანამედროვე კალათბურთის ბაზის მშენებლობასო. ეს საკითხი უფრო ადრეც უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან აფხაზეთში, კერძოდ, სოხუმში, კალათბურთის განვითარებისთვის ყველა ბუნებრივი პირობა არსებობს.

ქუთაისის კალათბურთელთა გამარჯვება არავის გაკვირვებია. ეს ქალაქი ჩვენს რესპუბლიკაში სამართლიანად ითვლება მეორე საკალათბურთო ცენტრად. სოხუმის გუნდმაც დამსახურებულად მოიპოვა ფინალურ ტურნირში ბრძოლის უფლება, თუმცა მას, რა თქმა უნდა, კარგი სამსახური გაუწია „საკუთარმა კედლებმა“.

აჭარის კალათბურთელებს წინათ საქართველოს ჩემპიონატში პერსონალური ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი, ახალი სისტემით კი მათ ამ უფლებისთვის ბრძოლა მოუხდათ. საწყენია, რომ ფინალში მოსახვედრად ამ გუნდს არ ეყო... ოსტატობა. თუმცა რომელ ოსტატობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა, ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, აჭარის გუნდი სოხუმში გამგზავრებამდე სამი დღით ადრე შეიკრიბა და მხოლოდ ორი ვარჯიშის ჩატარება მოასწრო.

#### 9-13 ივლისი. თბილისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ცისარტყელა“ (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 9 |
| „დინამო“ (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 9 |
| სამედიც. ინსტიტ. (თბილისი) | 5 | 3 | 2 | 8 |
| „მეტრომშენი“ (თბილისი) | 5 | 3 | 2 | 8 |
| სასოფლო-სამ. ინსტ. (თბილისი) | 5 | 1 | 4 | 6 |
| „შრ. რეზერვები“ (თბილისი) | 5 | 0 | 5 | 5 |

**ფინალისტები:** „ცისარტყელა“, „დინამო“.

**9 ივლისი.** „დინამო“ — „მეტრომშენი“ 55:54, „ცისარტყელა“ — „შრომითი რეზერვები“ 120:70, სამედიცინო ინსტიტუტი (სი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (სსი) 72:69; **10 ივლისი.** „დინამო“—სსი 69:45, სი—„შრომითი რეზერვები“ 78:65, „მეტრომშენი“ — „ცისარტყელა“ 75:65; **11 ივლისი.** სი — „მეტრომშენი“ 71:69, „ცისარტყელა“ — „დინამო“ 75:55, სსი — „შრომითი რეზერვები“ 71:61; **12 ივლისი.** „დინამო“ — „შრომითი რეზერვები“ 75:67, „ცისარტყელა“ — სი 69:49, „მეტრომშენი“ — სსი 75:62; **13 ივლისი.** „მეტრომშენი“ — „შრომითი რეზერვები“ 64:57, „ცისარტყელა“ — სსი 57:51, „დინამო“ — სი 67:57.

წარმატება აქ ერთიორად ძნელი იყო, რადგან ფინალში მოხვედრისთვის თანაბარძალოვანი გუნდები იბრძოდნენ. სამედიცინო ინსტიტუტმა, „ცისარტყელამ“ („სპარტაკი“) და „მეტრომშენმა“ („ლოკომოტივი“) თბილისის პირველობაში შესაბამისად I, III და IV ადგილები დაისაკუთრეს და საკმაოდ მაღალი კლასის კალათბურთიც გვიჩვენეს. ახლა კი ფინალში, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ორი მათგანი უნდა გასულიყო. ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ ამავე უფლებისთვის იბრძოდნენ „დინამო“ — ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი იუნიორებში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული თბილისის კოლექტივი. ჩვენი აზრით, ფინალში ღირსეულები გავიდნენ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არანაკლებ ღირსეულნი მთავარი ბრძოლების მიღმა დარჩნენ.

სხვათა შორის, ამ ჯგუფის გუნდებმა საერთო მოწონება დაიმსახურეს მაღალტექნიკური თამაშით. განსაკუთრებით ეფექტური იყო თავდასხმა. დაცვა კი, როგორც წესი, მოიკოჭლებდა, თუმცა ეს სენი დამახასიათებელია ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა გუნდისთვის.

### ქალები

#### 30 ივნისი-2 ივლისი. სოხუმი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი (თბილისი) | 4 | 4 | 0 | 8 |
| აფხაზეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| განათლ. განყ. (თბილისი) | 4 | 2 | 2 | 6 |
| რუსთავი | 4 | 1 | 3 | 5 |
| გორი | 4 | 0 | 4 | 4 |

**ფინალისტები:** უნივერსიტეტი, აფხაზეთი, რუსთავი.

**შენიშვნა:** განათლების განყოფილების კალათბურთელები ტურნირში უკონკურსოდ თამაშობდნენ.

**30 ივნისი.** უნივერსიტეტი — რუსთავი 71:52, აფხაზეთი — გორი 53:46; **1 ივლისი.** უნივერსიტეტი — განათლების განყოფილება 66:36, აფხაზეთი — რუსთავი 55:34; **2 ივლისი.** რუსთავი — გორი 56:39, აფხაზეთი — განათლების განყოფილება 47:43; **3 ივლისი.** უნივერსიტეტი — აფხაზეთი 60:38, განათლების განყოფილება — გორი 66:51; **4 ივლისი.** უნივერსიტეტი — გორი 83:46, განათლების განყოფილება — რუსთავი 58:46.

დებულების თანახმად, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „კოლმეურნისა“ და „ლოკომოტივის“ კოლექტივებს უნდა ეთამაშათ. რკინიგზელებმა უარი თქვეს და ამიტომ მათი ადგილი ტურნირში (უკონკურსოდ) განათლების განყოფილების გოგონებმა დაიკავეს. გუნდები არც „კოლმეურნემ“ გამოიყვანა.

ჯგუფის მთავარმა ფავორიტმა — საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის არაერთგზის მონაწილემ და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა — უნივერსიტეტის გუნდმა ნდობა გაამართლა და I ადგილი დაისაკუთრა. ორმა დანარჩენმა პრიზიორმა (აფხაზეთი, რუსთავი) და გორის კოლექტივმა დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა ერთი რამ მათ აუცილებლად უნდა ვუსურვოთ: მეტი ამხანაგური შეხვედრები, მეტი კონტაქტები გამოცდილების შესაძენად.

#### 6-10 ივლისი. ჭიათურა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „უშბა“ (თბილისი) | 5 | 5 | 0 | 10 |
| „შრ. რეზერვები“ (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 9 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 5 | 3 | 2 | 8 |
| ჭიათურა | 5 | 2 | 3 | 7 |
| აჭარა | 5 | 1 | 4 | 6 |
| ქუთაისი | 5 | 0 | 5 | 5 |

**ფინალისტები:** „უშბა“, „შრომითი რეზერვები“, ფიზკულტურის ინსტიტუტი.

**6 ივლისი.** „უშბა“ — ჭიათურა 77:45, ფიზკ. ინსტიტუტი — აჭარა 69:38, „შრომითი რეზერვები“ — ქუთაისი 82:31; **7 ივლისი.** „შრომითი რეზერვები“ — ჭიათურა 64:46, ფიზკ. ინსტიტუტი — ქუთაისი 58:39, „უშბა“ — აჭარა 52:19; **8 ივლისი.** ჭიათურა — აჭარა 51:49, „უშბა“ — ქუთაისი 72:36, „შრომითი რეზერვები“ — ფიზკ. ინსტიტუტი 49:45; **9 ივლისი.** ფიზკ. ინსტიტუტი — ჭიათურა 54:49, „უშბა“— „შრომითი რეზერვები“ 63:51, აჭარა — ქუთაისი 60:48; **10 ივლისი.** ჭიათურა — ქუთაისი 53:25, „შრომითი რეზერვები“ — აჭარა 86:31, „უშბა“ — ფიზკ. ინსტიტუტი 59:46.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ტურნირის უნაკლო ორგანიზაცია: ჩინებული დარბაზი, ზრუნვა და დახმარება, გულშემატკივართა ჯანსაღი ინტერესი. ყველაფერი ეს მოასპარეზეთ თამაშის ნორმალურ პირობებს უქმნიდა. ჭიათურელთა მონდომება ამ მხრივ სამაგალითოა.

I ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაისაკუთრა „უშბამ“ („განთიადი“). მართლაც, ჩვენი რესპუბლიკის ამ ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივს რამდენიმე მოწინავე მოთამაშე აკლდა, მაგრამ მის წარმატებაში ერთი წუთითაც არავის შეპარვია ეჭვი. ტურნირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა სწორედ „უშბასა“ და უნივერსიტეტის გუნდებს შორის გაიმართება.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ აჭარისა და, განსაკუთრებით, ქუთაისის კალათბურთელთა ყოვლად უსუსური თამაში. ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო და სწორედ ამიტომაც „ტრადიციულ“ გულისტკივილს იწვევს. აჭარისა და ქუთაისის დიდ სახელს კალათბურთში ქალთა გუნდების უხეირო თამაში შავ ლაქად ადევს.

* * *

**სისტემამ**, რომელიც საფუძვლად დაედო კალათბურთელთა წლევანდელ ჩემპიონატს, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ტურნირის დაწყებამდე და უფრო მოგვიანებითაც, მისი მსვლელობის პერიოდში. სპეციალისტების ნაწილი მხარს უჭერდა მას, ნაწილი ამ სისტემაში ბევრ უხერხულობას ამჩნევდა. ახალი ფორმულა მართლაც არ არის სრულყოფილი, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ახალია, ერთგვარ შეწყნარებასაც საჭიროებს.

ახალი სისტემის პირველი და მთავარი სარგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მან გაცილებით მეტ გუნდს გაუხსნა ასპარეზი. წლეულს უკვე არავინ გრძნობს თავს დაჩაგრულად: გუნდები, რომლებიც მეტნაკლებად აცხადებდნენ პრეტენზიას უმაღლეს ტიტულებზე, შეუზღუდავად დაუშვეს ჩემპიონატში.

მონაწილეთა რაოდენობის ზრდამ თავის მხრივ ხელი შეუწყო კალათბურთის კალენდრის გამოცოცხლებას. უწინ კალათბურთს მხოლოდ წლის პირველ ნახევარში თამაშობდნენ. გათამაშდებოდა ჩემპიონის ტიტული ზაფხულში და, შაბაშ! — მომავალ წლამდე გუნდები თავისუფალი იყვნენ.

ახლა კალათბურთმა ცხოვრება გაიხანგრძლივა, ყოველ შემთხვევაში, შემოდგომამდე ფინალისტები ვალდებული არიან საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. აი, ახალი სისტემის კიდევ ერთი ღირსება.

ჩემპიონატის დებულებაში გათვალისწინებული იყო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გუნდების მომზადების დონე და მათთვის თბილისის უდავოდ ძლიერი კოლექტივებისგან იზოლირებულად შეიქმნა ახალი ჯგუფი. ესეც ახალი სისტემის „ჰუმანურობას“ უნდა მივაწეროთ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არის რამდენიმე უხერხულობა, ე. წ. უარყოფითი მომენტი, რაც, ჩვენი აზრით, დროთა განმავლობაში დაიხვეწება.

პირველი უხერხულობაა ფინალისტ ვაჟთა შეზღუდული რაოდენობა (2-2) თბილისის ჯგუფებიდან. იმის გამო, რომ ერთ ჯგუფს შეუძლია ფინალში მხოლოდ 2 კოლექტივი გაგზავნოს, დაიჩაგრნენ სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელები, რომლებმაც ბრწყინვალედ იასპარეზეს საქალაქო ჩემპიონატში. ასეთივე ბედი ეწია „მეტრომშენს“, რომელიც მედიკებთან ერთად უდავოდ დაამშვენებდა ჩემპიონატის ფინალურ ნაწილს. შეიძლებოდა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა და, ასე გასინჯეთ, წლეულსვე. საჭიროა მხოლოდ ფინალისტთა რაოდენობა გაიზარდოს 8 გუნდამდე.

მეორე უხერხულობა მსაჯობას ეხება და ისიც ახალი სისტემიდან გამომდინარეობს. სრულიად მოულოდნელად, ჯგუფურმა ტურნირებმა მწვავედ დააყენა მსაჯთა რიცხვის საკითხი. როგორც გამოირკვა, არბიტრთა ერთი ნაწილი თამაშით იყო დაკავებული, მეორე — მწვრთნელის ან წარმომადგენლის ფუნქციებს ასრულებდა, სხვები კი ფიზიკურად ვერ სწვდებოდნენ სხვადასხვა ქალაქში ერთდროულად მიმდინარე ტურნირებს. გამოსავალი? იგი აქაც არსებობს — ჯგუფურ ტურნირებს შორის დავიცვათ რამდენიმედღიანი ინტერვალი.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა თბილისის ერთ-ერთ უძველეს და პოპულარულ ბაზაზე — კიროვის სახელობის პარკის სტადიონზე, რომელიც მოუმზადებელი შეხვდა ჩემპიონატის პირველ ეტაპს. იყო შემთხვევები, როცა მაყურებლები ანგარიშის ან დარჩენილი დროის გასაგებად პირდაპირ მდივნებს აკითხავდნენ. ცხადია, ეს უწესრიგობას ქმნიდა, მაგრამ მაყურებლის მდგომარეობა მაინც ასე თუ ისე გასაგებია.

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე დგას ვეებერთელა აგრეგატი, რომელიც ტაბლოდ იწოდება და წელიწადში ერთხელ თუ ამუშავდება, ისიც განსაკუთრებით საგანგებო შემთხვევაში. რესპუბლიკის ჩემპიონატი კი, ნურას უკაცრავად, მისი საკადრისი ღონისძიება არ ყოფილა.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ნ. გუგუშვილი.

# რუსთაველთა წარმატება

განთიადელ ველოსიპედისტთა წლევანდელი პირველობა სოხუმში, თბილისის გზატკეცილზე გაიმართა. 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში თავიდანვე დაწინაურდა რუსთავის გუნდის წევრი ვ. კეხბა და გამარჯვებაც დაისაკუთრა — 38.20,0.

75 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში კეხბის დიდხანს კვალში მიჰყვებოდა სოხუმელი ნ. აფონინი. ამ დუეტმა მეტოქენი დიდი მანძილით ჩამოიტოვა. ბოლო 100 მეტრში აფონინმა იმარჯვა და პირველობაც მოიპოვა — 1:58.36. კეხბა ერთი წამით ჩამორჩა.

სამაგიეროდ, რუსთაველ ველოსიპედისტთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში კეხბას გარდა შედიოდნენ თ. ფეიქრიშვილი, რ. ღარიბაშვილი და ი. კრასავცევი, 50 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში ყველას აჯობა — 1:17.46,0.

20 კილომეტრზე ქალთა გუნდურ რბოლაში გამარჯვება თბილისელთა დუეტმა (ვ. პოდოლსკაია, ლ. სტაშევსკაია) მოიპოვა — 33.20,0. რუსთავის გუნდი (ქ. კეხბა, ა. დოლგოპოლოვა) II ადგილზე გავიდა. შემდეგ პოდოლსკაიამ მოიგო 15 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა (25.47,0), ხოლო დოლგოპოლოვამ — 25 კილომეტრზე ჯგუფური რბოლა (39.52,0).

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს რუსთაველმა სპორტსმენებმა, II ადგილზე გავიდნენ თბილისის, III — აფხაზეთის წარმომადგენლები.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

## ქულები, გოლები, ქვოტები

სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი, 21-ე ტური (31 ივლისი) განსაკუთრებით გამოირჩეოდა გოლების სიუხვით: 9 მატჩში გატანილ იქნა 31 ბურთი!

„პახტაკორი“ „ზენიტთან“ სენსაციური ანგარიშით მოგებული მატჩის შემდეგ (5:0) შინ დამარცხდა მინსკის „დინამოსთან“ — 1:2. სტუმრების — სახაროვისა და მალოფეევის გოლებს რახმატულაევმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხა.

საბრძოლო ფორმაში შევიდა მოსკოვის „დინამო“. შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის უპირატესობა აშკარა იყო „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში — 6:2. ამ მატჩში ანგარიში გახსნა დინამოელმა ანიჩკინმა. შემდეგ ყმივცევმა ზედიზედ სამჯერ აიძულა რკინიგზელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. მერე კოხის 1 ბურთს დინამოელებმა მასლოვმა და კოზლოვმა ორით უპასუხეს. თამაშის დასასრულს ატამალიანმა („ლოკომოტივი“) შეძლო პენალტის რეალიზება.

„ნეფტჩი“ თავის მინდორზე უგებდა „კრილია სოვეტოვს“ გაჯიევის მიერ გატანილი პენალტის შემდეგ, მაგრამ ქუკოვმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

კიევის „დინამომ“ ლუგანსკში მორიგი 2 ქულა აიღო ადგილობრივ „ზარიასთან“ — 2:0. ორივე გოლი შესვენების შემდეგ იქნა გატანილი (მედვიდი, საბო).

გამოასწორა მდგომარეობა „ზენიტმა“, რომელმაც ალმა-ათაში დაამარცხა „კაირატი“ — 2:0. გოლები გაიტანეს უნანოვმა და გონჩაროვმა.

კიროვაბადი. კვლავ აიღო ქულა ადგილობრივმა „დინამომ“, რომელსაც ამ დღეს ძლიერი მეტოქე ჰყავდა მოსკოვის „ტორპედოს“ სახით. სავჩენკოს („ტორპედო“) მიერ 25-ე წუთზე გატანილი გოლი შესვენების შემდეგ გაქვითა ზეინალოვმა — 1:1.

მოულოდნელი მარცხი განიცადა საკუთარ მინდორზე „შახტიორმა“ „ჩერნომორეცთან“ — 0:2. ამ მატჩში ორივე გოლი გაიტანა ოდესელთა ახალგაზრდა თავდამსხმელმა ბოკატოვმა, მაგრამ ჩაეთვლება თუ არა გამარჯვება „ჩერნომორეცს“, სათუოა. მოხდა არნახული რამ: ოდესელებმა თამაშის მსვლელობაში შეცვალეს 3 მოთამაშე: 1 მეკარე და 2 ფეხბურთელიც — მინდორში. „შახტიორმა“ მატჩის შედეგი გააპროტესტა (თამაშს მსაჯობდა ოდესელი არბიტრი ფ. ტიურიკოვი).

დაბოლოს, მატჩი როსტოვში, სადაც ადგილობრივი არმიელები ხვდებოდნენ „არარატს“. მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 4:0: 1 ბურთი გაიტანა ბუროვმა, 3 — კოპაევმა. ახლა ო. კოპაევის ანგარიშზეა 117 გატანილი გოლი, რაც მეშვიდე მაჩვენებელია სსრ კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში.

## თასი — „ისანს“

დამთავრდა თბილისის თასის გათამაშება ფეხბურთში. 31 ივლისს არმიის სპორტკლუბის სტადიონზე გაიმართა ფინალური მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „ისანი“ და „სინათლე“.

„ისანმა“ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვ. რამიშვილი) კარგად ჩაატარა გადამწყვეტი შეხვედრა და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ეს გოლი შესვენების შემდეგ გაიტანა გოცირიძემ.

აღსანიშნავია, რომ დიმიტროვის სახელობის ქარხნის და დედაქალაქის 26 კომისრის სახელობის რაიონის ხელმძღვანელები ყურადღებით ეპყრობიან თავიანთ ფეხბურთელთა კოლექტივს და „ისნის“ მაჩვენებლებიც ბოლო ხანებში შესამჩნევად გაუმჯობესდა.

# რვა წაგების შემდეგ...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 31 ივლისი.
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) 4:2 (0:0).
„ტორპედო“: გრძელიშვილი, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ზარია (საკანდელიძე), ჭოლაძე, ნაჭყებია, ვეკუა. (გადელია), ხაუალია, ჭითანავა.
„დინამო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, კანთელაძე, ცხოვრებოვი, კუტივაძე. ასათიანი, სიჭინავა, გავაშელი, გ. ნოდია, მესხი.
მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).
დუბლიორები — 2:0 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

ქუთაისის „ტორპედოს“ ზედიზედ ჰქონდა წაგებული ბოლო 8 შეხვედრა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო გუნდმა გამარჯვების მოპოვება. ყველა ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმში. ანგარიში გახსნა ნაჭყებიამ, მეორე გოლი გაიტანა ჭითანავამ, მერე კი პეტრიაშვილმა საკუთარ კარში გაგზავნა მესამე ბურთი. ამის შემდეგ ასათიანმა და კუტივაძემ ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს, ხოლო მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე ჭითანავამ კიდევ ერთხელ აიღო „დინამოს“ კარი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



### გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი I ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 3 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 22 | 13 | 8 | 1 | 32—13 | 34 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 20 | 13 | 4 | 3 | 36—19 | 30 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 21 | 8 | 9 | 4 | 34—21 | 25 |
| „დინამო“ (თბილისი) | 21 | 8 | 9 | 4 | 20—10 | 25 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 21 | 9 | 7 | 5 | 24—18 | 25 |
| „დინამო“ (მინსკი) | 21 | 9 | 7 | 5 | 23—17 | 25 |
| ცსკა | 20 | 9 | 6 | 5 | 24—16 | 24 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 21 | 7 | 10 | 4 | 22—24 | 24 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 21 | 7 | 9 | 5 | 23—24 | 23 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 22 | 8 | 6 | 8 | 29—25 | 22 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 21 | 6 | 8 | 7 | 20—19 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 21 | 6 | 7 | 8 | 14—15 | 19 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 21 | 5 | 9 | 7 | 20—23 | 19 |
| ასკ (როსტოვი) | 21 | 6 | 6 | 9 | 26—30 | 18 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 22 | 5 | 8 | 9 | 12—26 | 18 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 21 | 5 | 6 | 10 | 23—36 | 16 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 21 | 5 | 5 | 11 | 15—23 | 15 |
| „არარატი“ (ერევანი) | 21 | 5 | 5 | 11 | 14—26 | 15 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 22 | 4 | 5 | 13 | 17—30 | 13 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 21 | 2 | 8 | 11 | 10—23 | 12 |

### III ქვეჯგუფი გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი II ჯგუფი

მდგომარეობა 3 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 22 | 12 | 7 | 3 | 30—10 | 31 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 22 | 10 | 10 | 2 | 18—8 | 30 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 22 | 9 | 9 | 4 | 25—15 | 27 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 21 | 10 | 6 | 5 | 30—15 | 26 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 22 | 9 | 8 | 5 | 24—16 | 26 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 22 | 9 | 6 | 7 | 29—22 | 24 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 22 | 9 | 6 | 7 | 27—21 | 24 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 22 | 9 | 6 | 7 | 20—21 | 24 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 22 | 8 | 7 | 7 | 18—17 | 23 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 22 | 6 | 9 | 7 | 27—27 | 21 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 22 | 6 | 8 | 8 | 22—22 | 20 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 22 | 8 | 4 | 10 | 18—24 | 20 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 22 | 6 | 8 | 8 | 16—23 | 20 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 22 | 5 | 9 | 8 | 16—25 | 19 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 22 | 6 | 7 | 9 | 19—29 | 19 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 21 | 5 | 8 | 8 | 15—16 | 18 |
| „თერგი“ (გროზნო) | 22 | 5 | 8 | 9 | 21—26 | 18 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 22 | 7 | 4 | 11 | 23—33 | 18 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 22 | 5 | 8 | 9 | 18—32 | 18 |
| „სტროიტელი“ (უფა) | 22 | 4 | 9 | 9 | 22—30 | 17 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 22 | 2 | 11 | 9 | 16—28 | 15 |

# რეპეტიცია გეტებორგში

გეტებორგი, 2 აგვისტო (საკდესი). შვეციისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც აქ გუშინ გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 2:2.

40 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს თამაშს. სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: დეგტიარიოვი, ბასალაევი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ისტომინი, კაპლიჩნი, მუნტიანი, გერშკოვიჩი, ბიშოვეცი (ლენიოვი), ევრიუჟიხინი, მარქაროვი.

მატჩს ემსახურებოდა დანიის არბიტრთა ბრიგადა.

თითქოს სულ ახლახან იყო, რომ ლონდონში „ოქროს ქალღმერთი“ ჩააბარეს ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ლაურეატებს — ინგლისელებს. გავიდა კი 2 წელი. სულ მალე მთელი ძალით გაიშლება ბატალიები მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში თამაშის უფლებისთვის, რომელიც 1970 წელს ჩატარდება მექსიკის მინდვრებზე. თურქეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებთან შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან საბჭოთა ფეხბურთელებიც. შვედებთან შეხვედრა გეტებორგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეპეტიციას წარმოადგენდა ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებათა წინ. სასიხარულოა, რომ ნაკრების მოთამაშეები ამჯერად დიდი ხნით არ მოუწყვეტიათ თავიანთი კლუბებიდან.

დებიუტში ინიციატივა საბჭოთა ფეხბურთელებს ეკუთვნოდათ. მე-6 წუთზე გერშკოვიჩი ბურთს დაეუფლა მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე და ძლიერი დარტყმით ძელს ქვეშ გახსნა ანგარიში — 1:0.

შემდეგ თამაში გათანაბრდა. ჩვენი გუნდიდან შეტევაში გამოირჩეოდნენ ბიშოვეცი და გერშკოვიჩი, ხოლო მასპინძელთაგან — სვენსონი, ეიდერშტედი და ერიქსონი. ბევრი სამუშაო დააწვა შვეციის ნაკრების დებიუტანტს, ახალგაზრდა მეკარე ჰელსტრემს. უნდა ითქვას, რომ ამჯერად ორივე გუნდში იყო ბევრი ფეხბურთელი, რომლებიც პირველად იცავდნენ ნაკრების ღირსებას უმაღლესი დონის ოფიციალურ მატჩში. ჩვენს გუნდში ესენი იყვნენ ახალგაზრდა მოთამაშეები დეგტიარიოვი, ბასალაევი, მუნტიანი.

32-ე წუთზე ბიშოვეცი სწრაფად გავიდა კარგ პოზიციაში, მაგრამ იგი უხეშად მოცელეს. საჯარიმო. მხოლოდ ძელმა იხსნა შვედები მეორე გოლისგან, მაგრამ ბიშოვეცი იძულებული იყო დაეტოვებინა მინდორი. მის მაგივრად გამოვიდა ლენიოვი, რის შემდეგ წინა ხაზი ასე გამოიყურებოდა: გერშკოვიჩი, ევრიუჟიხინი, მარქაროვი, ხოლო ლენიოვი კაპლიჩნისთან და მუნტიანთან ერთად მინდვრის ცენტრში თამაშობდა. მუნტიანიც და ლენიოვიც პირველივე შესაძლებლობისთანავე მხარს უჭერდნენ ფორვარდებს.

ტაიმის დასასრულს სკანდინაველთა შეტევები მომძლავრდა. 34-ე წუთზე დეგტიარიოვმა და ხურცილავამ გაჭირვებით ააცდინეს საშიშროება ჩვენს კარს.

შესვენებამდე 5 წუთით ადრე, კუთხური მოწოდების შემდეგ ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა მარქაროვს, მაგრამ მისი დარტყმა მეკარის მოედნის კუთხიდან პირდაპირ ჰელსტრემს მოხვდა. წუთის შემდეგ ასევე კუთხური მოწოდების მერე კარის გადარჩენა მოუხდა დეგტიარიოვს.

ბიშოვეცის გასვლა დიდ ნაკლად დაეტყო ჩვენი ფორვარდების თამაშს. ინიციატივა შვედებმა აიღეს. მოწინააღმდეგის დაწოლა ჩვენს დაცვაზე კიდევ უფრო გაძლიერდა. 66-ე წუთზე სსრ კავშირის ნაკრების კარში დაინიშნა პენალტი. ერიქსონმა გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მასპინძლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევები. ჩვენი გუნდის თავდასხმაში კი აქტიურია მხოლოდ ევრიუჟიხინი. შორიდან რამდენიმე კარგი დარტყმა შეასრულა მუნტიანმა. მეკარემ ორჯერ ვერ გააჩერა ბურთი ხელში, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელთაგან ვერავინ მოასწრო მისი ბადეში გაგზავნა. 83-ე წუთზე კუთხური მოწოდებიდან ბურთი საჯარიმო მოედანზე მოხვდა გრანს და მან ათიოდე მეტრიდან გაიტანა მეორე გოლი. მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე შეძლო ხურცილავამ უძლიერესი დარტყმით აღედგინა თანაფარდობა — 2:2.

რეპეტიციამ ცხადყო, რომ ჩვენს ნაკრებს ჯერ კიდევ საკმაოდ აქვს გადასაჭრელი პრობლემები, რათა წარმატებით გამოვიდეს მსოფლიო ჩემპიონატის მომავალ მატჩებში.

# აგვისტოს კალენდარი

## „ა“ კლასის I ჯგუფი

4. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა.
6. სსრ კავშირის თასი. მეოთხედფინალები.
10. „დინამო“ (თბილისი) — „ნეფტჩი“, „არარატი“ — „დინამო“ (კიროვაბადი), ასკ (როსტოვი) — „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“, „დინამო“ (კიევი) — „კაირატი“, „ჩერნომორეცი“ — „პახტაკორი“, „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი), ცსკა — „ზენიტი“.
11. „კრილია სოვეტოვი“ — „შახტიორი“, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ზარია“.
14. „დინამო“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (თბილისი), „არარატი“ — „ნეფტჩი“, ასკ (როსტოვი) — „სპარტაკი“, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“, „დინამო“ (კიევი) — „პახტაკორი“, „ჩერნომორეცი“ — „კაირატი“, „დინამო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“.
15. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“, „ზარია“ — „კრილია სოვეტოვი“.
16. ცსკა — „დინამო“ (მინსკი).
18. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი).
22. „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“, „დინამო“ (კიროვაბადი) — „ნეფტჩი“, „შახტიორი“ — „ზარია“, ასკ (როსტოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „პახტაკორი“ — „კაირატი“, „ზენიტი“ — „დინამო“ (მინსკი), „კრილია სოვეტოვი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი).
23. „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა.
26-27. სსრ კავშირის თასი. ნახევარფინალები.
31. „კრილია სოვეტოვი“ — ასკ (როსტოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

● ოლეგ კოპაევის 117-ე გოლი
● „ჩერნომორეცმა“ შეცვალა... 3 კაცი
● ხვალ:
„სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა

## „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი

3. „დინამო“ (მახაჩყალა) — „ტორპედო“ (ტაგანროგი), „ფოლადი“ (სუმგაითი) — „თერგი“ (გროზნო), „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „დინამო“ (ბათუმი) — „ზვეზდა“ (პერმი), „მეშახტე“ (ტყიბული) — „ზენიტი“ (იჟევსკი), „შირაკი“ (ლენინაკანი) — „სტროიტელი“ (უფა), „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი), „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი), „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „ვოლგა“ (გორკი) — „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა).
12. „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „თერგი“, „ვოლგა“ (გორკი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი), „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ვოლგარი“, „რუბინი“ (ყაზანი) — „ტრაქტორი“, „ურალმაში“ — „დინამო“ (ბათუმი), „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „შირაკი“, „მეტალურგი“ — „მეშახტე“, „სტროიტელი“ — „დინამო“ (მახაჩყალა), „ზენიტი“ — „ფოლადი“, „ზვეზდა“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი).
16. „ტორპედო“ — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ვოლგა“ (გორკი) — „ტრაქტორი“, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი). „რუბინი“ — „ვოლგარი“, „ურალმაში“ — „მეშახტე“, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „დინამო“ (ბათუმი), „მეტალურგი“ — „შირაკი“, „სტროიტელი“ — „ფოლადი“, „ზენიტი“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „ზვეზდა“ — „დინამო“ (მახაჩყალა).
20. „თერგი“ — „ტორპედო“, „ვოლგა“ (გორკი) — „ვოლგარი“, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ტრაქტორი“, „რუბინი“ — „ვოლგა“ (ულიანოვსკი), „ურალმაში“ — „შირაკი“, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „მეშახტე“, „მეტალურგი“ — „დინამო“ (ბათუმი), „სტროიტელი“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „ზენიტი“ — „დინამო“ (მახაჩყალა), „ზვეზდა“ — „ფოლადი“.
30. „ფოლადი“ — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „დინამო“ (ბათუმი) — „ტორპედო“, „მეშახტე“ — „თერგი“, „შირაკი“ — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „სტროიტელი“, „ტრაქტორი“ — „ზვეზდა“, „ვოლგარი“ — „ზენიტი“, „ვოლგა“ (გორკი) — „ურალმაში“, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „მეტალურგი“, „რუბინი“ — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი).

**მოსკოვი, 1 აგვისტო.** ოთხმა მთამსვლელმა — ნ. ალტუხოვმა (ხელმძღვანელი), გ. კარლოვმა, ი. როშჩინმა და ვ. შატაევმა დასავლეთის ფერდობით დაიპყრეს ცენტრალურ პამირში მდებარე „პრავდის“ მწვერვალი (6400 მ). ამ გზით ეს პიკი პირველად დანებდა მთამსვლელებს, რომელთა ასვლა უმაღლესი კატეგორიის სიძნელისაა.

**სოფია, 1 აგვისტო.** საბჭოთა დიდოსტატმა ვ. სმისლოვმა აქ ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალისადმი მიძღვნილი ერთდროული თამაშის დიდი სეანსი ჩაატარა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონის წინააღმდეგ 32 მოჭადრაკე გამოვიდა. სმისლოვმა მოიგო 21 პარტია, 9 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 2 წააგო.

**უტრეხტი, 1 აგვისტო.** ჰოლანდიის ჩემპიონატში მოასპარეზე ადა კოკმა ადგილობრივ 50-მეტრიან აუზში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში — 2.21,1. ეს მხოლოდ 0,1 წამით უარესია მისსავე მსოფლიო რეკორდზე.

**სტოკჰოლმი, 1 აგვისტო.** ჰოკეით ხტომის შვედმა ოსტატმა ჩელ იზაკსონმა, რომელიც სულ 21 წლისაა, თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 510 სმ. წარმატებით იასპარეზა იან-ერიკ ბლომკვისტმა, რომელმაც ასევე პირველად დაძლია 5-მეტრიანი სიმაღლე. მეორე სწრაფად მზარდმა სპორტსმენმა აკე ნილსონმა შუბი 83,80 მეტრზე ტყორცნა. ეს შედეგი შვეციის ახალი რეკორდია და იზაკსონის მაჩვენებელთან ერთად ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპის სტადიონებზე წელს. ყველა ეს შედეგი ნაჩვენები იქნა შვეციისა და კანადის მძლეოსანთა მატჩში, რომელიც ასე დამთავრდა. ვაჟები — 119:93 მასპინძელთა გამარჯვებით, ქალები — 65:50 კანადელთა სასარგებლოდ.

**სკოპლე, 1 აგვისტო.** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში — „სოლიდარობის შეხვედრებში“ საბჭოთა დიდოსტატმა პოლუგაევსკიმ იუგოსლაველ გლიგორიჩთან გამარჯვების შემდეგ ნახევარ ქულამდე შეამცირა სხვაობა შეჯიბრების ლიდერ პორტიშთან (უნგრეთი). უნგრელ დიდოსტატს 11,5 ქულა აქვს 15-დან. III ადგილზეა ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 10,5, IV — გელერი (სსრ კავშირი) — 10 ქულა და 1 გადადებული პარტია. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ლ. პოლუგაევსკიმ თქვა: „იუგოსლავიაში მიმდინარე ტურნირი, რომლის 20 მონაწილიდან 11 დიდოსტატია, გადამწყვეტ სტადიაში შევიდა. ახლა, დარჩენილ ოთხ ტურში, გაიმართება გენერალური ბრძოლა საპრიზო ადგილებისთვის. სტარტზე წარუმატებლობამ (პორტიშთან უკეთეს პოზიციაში მოულოდნელად დავმარცხდი) მაიძულა მომდევნო პარტიები წარმოუდგენელი დაძაბულობით ჩამეტარებინა, მაგრამ პორტიშს ჯერჯერობით ვერ დავეწიე. უნგრელი დიდოსტატი ამ შეჯიბრებაში შესაშური თავშეკავებითა და მკაცრ კლასიკურ სტილში თამაშობს. მისი შედეგი — 9 მოგება, 1 წაგება (ულმანთან) და 5 ყაიმი — მეტისმეტად კარგია. პორტიშისა და ჰორტის გარდა ერთ-ერთი საპრიზო ადგილის მოპოვების შანსს ჩვენი გელერიც ინარჩუნებს. ამ დღეებში მან 2 გამარჯვება მოიპოვა (იუგოსლაველებთან ბუკიჩთან და ილიევსკისთან). რაც შეეხება სოფრევსკისთან (იუგოსლავია) მის ორჯერ გადადებულ პარტიას, გელერი დაჟინებით ეძებს მოგებას, თუმცა მეტოქეებმა უკვე ასზე მეტი სვლა გააკეთეს. უახლოეს ტურებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება შეხვედრებს: პორტიშისა — ჰორტთან და სავონთან, ჩემსას — მატანოვიჩთან და მატულოვიჩთან, და, ცხადია, პირველობის მაძიებელი სხვა მონაწილეებისას. იუგოსლაველი ჭადრაკის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს საბჭოთა ოსტატის სავონის თამაშს. ტურნირის პირველი ნახევრის შემდეგ ამ ახალგაზრდამ შესანიშნავ შედეგებს მიაღწია დიდოსტატის წოდების მოპოვებისთვის ბრძოლაში. მაგრამ შემდეგ მას სერიოზული სიძნელეები აღუდგა წინ. ამ ტურნირში დიდოსტატის ნორმა 12,5 ქულაა. ამრიგად, სავონის წინაშე რთული ამოცანა დგას: 3,5 ქულის მოგროვება დარჩენილ 4 პარტიაში“.

**ამსტერდამი, 1 აგვისტო.** აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ კავალეკს გამარჯვების დიდი შანსი აქვს: მან 9,5 ქულა დააგროვა 13-დან. XIII ტურში კავალეკმა მოუგო ჰოლანდიელ ოსტატს რეეს, რომელმაც წინა დღით დაამარცხა იუგოსლაველი დიდოსტატი ივკოვი. II-III ადგილებზე მიდიან საბჭოთა დიდოსტატები ბრონშტეინი და შამკოვიჩი: პირველს 8 ქულა აქვს, მეორეს — 7,5 12-დან. განვლილ ტურში ისინი ერთმანეთში არკვევდნენ „შემოქმედებით ურთიერთობას“. მათი პარტია დაუმთავრებელი დარჩა. IV-VII ადგილებზე არიან ივკოვი, ლენდიელი (უნგრეთი), ლანგვეგი (ჰოლანდია) და რეე — 7,5-7,5.

## ტალინსა და გომელში

სსრ კავშირის ვაჟთა 36-ე საჭადრაკო ჩემპიონატი ჩატარდება ალმა-ათაში გვიან შემოდგომით. ჭადრაკის ფედერაციამ გადაწყვიტა ორი ნახევარფინალური ტურნირის გამართვა, რომლებშიც მოძმე რესპუბლიკების მოჭადრაკეები ითამაშებენ. სამაგიეროდ, მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-სა და უკრაინის პირველობებს ნახევარფინალების უფლებები მისცა.

1 აგვისტოს ტალინში სტარტი აიღო პირველმა ნახევარფინალმა. მასში მხოლოდ ოსტატები თამაშობენ, მათ შორის, საქართველოდან — ბ. გურგენიძე და თ. ლომაია.

6 აგვისტოს გომელში დაიწყება მეორე ნახევარფინალი. აქ ჩვენგან ითამაშებენ ოსტატობის კანდიდატები ზ. მიქაძე და ა. იზვოზჩიკოვი.

## თამაზ ბარამიძე — ჩემპიონი

**ფოთი** (ჩვენი სპეც. კორ.). ქალაქის საჭადრაკო-სამაშო კლუბში დასრულდა საქართველოს ღია პირველობა რუსულ შაშში. ტურნირში ჩვენი რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის 12 უძლიერესი მოშაშე მონაწილეობდა.

I-III ადგილები გაიყვეს სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა, დიდოსტატმა ვ. გაბრიელიანმა (ბაქო) და სპორტის ოსტატებმა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, რუსთავის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარმა ექიმმა თენგიზ ბარამიძემ და საქართველოს ორგზის ჩემპიონმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა თამაზ ბარამიძემ — 8-8 ქულა. რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი თამაზს მიენიჭა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სამეულმა წაუგებლად დაამთავრა შეჯიბრება: ხუთ-ხუთი პარტია მოიგო, ექვს-ექვსი ყაიმით დაასრულა.

ჩვენი ჩემპიონატების ისტორიაში სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად ამ ტურნირში დაწესდა. ეს წოდება მოიპოვა საქართველოს უხუცესმა მოშაშემ ა. ფეიდერმა (ფოთი), რომელმაც 6,5 ქულით IV ადგილი დაიკავა. ფეიდერმა ბევრი ნიჭიერი მოშაშე აღზარდა, რომელთაგან საკმარისია დავასახელოთ ოსტატი ძმები — თენგიზ და თამაზ ბარამიძეები, ოსტატობის კანდიდატები ა. გულორდავა, ო. ზენაიშვილი და ლ. ზოდელავა.

შემდეგ ადგილებზე არიან: ოსტატები გ. ჩატულიდი (თბილისი), ნ. ტუაევი (ბაქო)—5,5-5,5, ტ. თეიმუროვი (ბაქო), ოსტატობის კანდიდატი ი. სპესივცევი (თბილისი) — 5-5. IX-XI ადგილები გაიყვეს ოსტატმა ს. პახლაჯიანმა, ოსტატობის კანდიდატებმა დ. მინასიანმა (ორივე — თბილისი), ს. მოძღვრიშვილმა (ქუთაისი) — 4,5-4,5. ბოლო ადგილზეა ო. ზენაიშვილი (ფოთი) —1.

სასურველია, შაშში ღია პირველობის ჩატარება ტრადიციად იქცეს.

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

# 1. დიდი დაფასება

### ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით

რუსეთის უძლიერესი მოჭადრაკეების სისტემატური შეხვედრების იდეა პირველად დიდმა რუსმა ოსტატმა მ. ჩიგორინმა წამოაყენა გასული საუკუნის 70-ან წლებში, მაგრამ რუსეთის I ტურნირის გამართვა მხოლოდ საუკუნის მიწურულს გახდა შესაძლებელი. შეჯიბრების ორგანიზებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მოსკოვის საჭადრაკო წრესა და მის დაუღალავ მდივანს პ. ბობროვს.

— მამაჩემი პავლე ბობროვი, — წერს ცნობილი საბჭოთა მწერალი სერგეი ბობროვი, — ოდესღაც რუსეთის ერთ-ერთ პირველ საჭადრაკო ჟურნალს „შახმატნოე ობოზრენიეს“ გამოსცემდა. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იგი მოსკოვის საჭადრაკო წრის მდივანი გახლდათ. ამიტომ ჩვენი ოჯახი უნებლიედ საჭადრაკო მოვლენათა ცენტრში იყო მოქცეული. შინ გვწვევია თითქმის ყველა იმდროინდელი გამოჩენილი მოჭადრაკე — ლასკერი, ჩიგორინი და, ბოლოს, ალიოხინიც. იგი ჯერ კიდევ გიმნაზისტი იყო, მამასთან რომ დადიოდა.

თვალსაჩინო საჭადრაკო მოღვაწეს ბობროვს კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთის I ტურნირის ჩატარებას. იმ ხანად ძლიერი მოჭადრაკეები უკიდეგანო რუსეთში ოქროს მარცვლებივით იყვნენ გაბნეული. ბობროვმა საგანგებოდ შეადგინა მათი სია და თვითეულს მოწვევა გაუგზავნა.

წერილი ქართველმა მოჭადრაკემ ანდრია დადიანმაც მიიღო. დადიანი კიევში ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა საჭადრაკო ამბებში. მისი ნაწერები და პარტიები ხშირად იბეჭდებოდა უცხოურ ჟურნალებში. დადიანს ძლიერი მოჭადრაკის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. აი, რას წერდა მას ბობროვი:

„სრულიად რუსეთის საჭადრაკო ტურნირის კომიტეტის სახელით პატივი მაქვს მოგიწვიოთ ჩვენი წრის მიერ ორგანიზებულ სრულიად რუსეთის პირველ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. თქვენი ზუსტი მისამართის უქონლობის გამო ტურნირის პროგრამას ვაგზავნი პეტერბურგში, კიევსა და კავკასიაში იმ სამ მისამართზე, რომლებიც მაქვს.

მზად ვარ გემსახუროთ.

მოსკოვის საჭადრაკო წრის მდივანი პ. ბობროვი.

1899 წ. 8 ივნისი“.

სამწუხაროდ, დადიანმა ვერ მიიღო მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან ტურნირში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა 1899 წლის 2-19 სექტემბერს. როგორც ჩანს, მან — რუსეთის არმიის გენერალმა — ამ დროისთვის ვერ გაათავისუფლა თავი სამსახურიდან.

ამ წერილის არსებობა (მას ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვიკვლიეთ ამას წინათ) და შინაარსი მიგვანიშნებს, რომ სახელგანთქმული ქართველი მოჭადრაკე რუსეთის საჭადრაკო საზოგადოებაშიც ავტორიტეტით სარგებლობდა.

ცოტა ხნის შემდეგ (1901 წ. 21 მაისს) პ. ბობროვი კვლავ წერს დადიანს. ამჯერად იგი მას სთხოვს თანამშრომლობას ჟურნალ „შახმატნოე ობოზრენიეში“. დადიანმა მადლობით მიიღო წინადადება და ჟურნალს ხშირად აწვდიდა პარტიებს, წერილებს.

თ. გიორგაძე.

## ფრენბურთის სარბიელზე

მოსკოვი, 1 აგვისტო. (საკდეს). დამთავრდა იაპონიის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების ტურნე. ვაჟთა გუნდების დასკვნით შეხვედრაში, რომელიც გუშინ, გვიან საღამოს გაიმართა სპორტის სასახლეში, როგორც ყველა წინა შეხვედრაში, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა — ოლიმპიურმა ჩემპიონებმა—3:0 (15:13, 15:5, 15:10).

წლეულს ეს იყო მეტოქეთა მეთერთმეტე შეხვედრა ნაკრებთა დონეზე. ანგარიშია 9:2 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ. საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ი. კლეშჩოვი კმაყოფილი უნდა იყოს: ამ სეზონის ყველა საპასუხისმგებლო შეჯიბრება მოგებულია, ამასთან, მას შეეძლო თავისი თავისთვის მიეცა ისეთი ფუფუნების უფლება, როგორიცაა მეორე შემადგენლობით შეჯიბრება მსოფლიოს საფრენბურთო ელიტის წარმომადგენლებთან, რომელშიც იაპონელებიც შედიან. ჩვენმა მეტოქეებმა ვერასგზით ვერ გადაწყვიტეს მრისხანე ბომბარდირების — მოსკოველი არმიელის ე. სიბირიაკოვისა და მძლავრი ლუგანსკელის ვ. ბელიაევის ნეიტრალიზაციის პრობლემა.

სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი მეხიკოს ასპარეზობამდე კიდევ ერთ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ამ შეჯიბრებაში, რომელიც გდრ-ში გაიმართება, გამოვა მსოფლიო ფრენბურთის ყველა მოწინავე გუნდი. ჩვენი გუნდის მთავარი ამოცანაა ოლიმპიურ ტურნირამდე შეინარჩუნოს უმაღლესი ფორმა, რომელსაც იგი სეზონის განმავლობაში გვიჩვენებდა.

წლევანდელ სეზონში სსრ კავშირისა და იაპონიის ქალთა შეხვედრების ანგარიშია 3:1 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ. აქ მთავარია ფსიქოლოგიური ზღუდის დაძლევა: საბჭოთა ფრენბურთელები უკვე მიეჩვიენენ ყველაზე მრისხანე მეტოქეების — ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონების დამარცხებას. საგრძნობლად გაძლიერდა სსრ კავშირის ნაკრების შემტევი ძალა. გადამწყვეტ დარტყმებს ი. რისკალთან ერთად თამამად ასრულებს გუნდის დებიუტანტი გ. გალუშკაც („სპარტაკი“). მრავალფეროვნად თამაშობს რ. სალიხოვა. მეგობრების თამაშს უწინდებურად ჭკვიანურად ხელმძღვანელობს გუნდის ყველაზე გამოცდილი წევრი, მისი კაპიტანი ლ. ბულდაკოვა. საერთოდ, საბჭოთა ფრენბურთელ ქალებს თამამად შეუძლიათ ოლიმპიური ტიტულისთვის ბრძოლა.

მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან ძნელია... ჯერჯერობით დასახელებულია მხოლოდ გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ წრიული სისტემით გამართულ ოლიმპიურ ტურნირში. ვაჟებში ესაა სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, გდრ, იაპონია, პოლონეთი, აშშ, ბულგარეთი, ბრაზილია, მექსიკა; ქალებში — იაპონია, სსრ კავშირი, აშშ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, პერუ, მექსიკა.

ა. კალაბაშკინი.

## სიურპრიზები მდინარე ლიელუპეზე

**იურმალა** (ლატვია), 1 აგვისტო. გუშინ აქ სტარტი აიღო სსრ კავშირის IV ჩემპიონატმა საწყლოსნო-სათხილამურო სპორტში, რომელშიც მონაწილეობენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ლატვიის, ესტონეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

ასპარეზობის პირველი დღე სიურპრიზით დაიწყო. ცალი თხილამურით სლალომში გამარჯვებისთვის ოქროს მედლები პირველად მოიპოვეს მოსკოველებმა ნ. დიოშინმა და გ. გუსევმა. მათ მაღალი სისწრაფით სრიალის დროს გამოცდილ და სახელიან მეტოქეებზე მეტი ტიტივას შემოუარეს.

ქალებში ვერცხლის მედალი მოიპოვა მოსკოველმა ინჟინერმა ნ. პავლოვამ, ბრინჯაოსი — ცესისის მუსიკალური სკოლის მასწავლებელმა ს. ცინტინამ. ვაჟებიდან პრიზიორთა სამეულში აგრეთვე შევიდნენ სოჭელი ე. ტიცევი და ყაზანელი ე. ჩეკინა.

# ვ. ა. ამბოკაძე



სამეცნიერო ბიბლიოთეკა

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ნიადაგის ეროზიის განყოფილების გამგე, სკკპ წევრი 1944 წლიდან, დოცენტი ვახტანგ ანდრიას ძე ამბოკაძე.

ვ. ამბოკაძე დაიბადა 1904 წელს ქარელის რაიონის სოფელ მოხისში, მოსამსახურის ოჯახში. 1929 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი და მას შემდეგ ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას. 1968 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მის კალამს ეკუთვნის 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

დიდი სამამულო ომის წლებში ვ. ამბოკაძე იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში, დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის II ხარისხის, შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით.

თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ვ. ამბოკაძემ ფეხბურთს მოანდომა. თამაში დაიწყო ადრე ბავშვობაში, შემდეგ გამოდიოდა ქართული დივიზიის, თბილისის უნივერსიტეტის გუნდებში, თამაშობდა თბილისის „დინამოში“, „დურუჯში“, იყო საქართველოს ნაკრების წევრი. ამ სწრაფ, მაღალტექნიკურ, დისციპლინირებულ ფეხბურთელს კარგად იცნობდნენ მაშინდელ სპორტულ წრეებში.

ვ. ამბოკაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ფეხბურთის განვითარებაში. იგი წლების მანძილზე იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი და აქტიურ, უანგარო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა სპორტის ამ სახეობის შემდგომი აღმავლობისთვის.

მეცნიერისა და სპორტსმენის ვახტანგ ანდრიას ძე ამბოკაძის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმი.

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## მკითხველთა და ავტორთა საყურადღებოდ!

„ლელოს“ რედაქცია გადავიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შენობის ახალ კორპუსში (შესასვლელი ბელინსკის ქუჩიდან). ჩვენი ტელეფონებია: სამდივნოსი — 93-95-30, მასობრივი ფიზკულტურის განყოფილების, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებისა — 93-95-14, ფეხბურთის განყოფილებისა — 93-95-41, წერილების სექტორისა—93-95-40, ლიტმუშაკებისა—93-95-11, ფოტოლაბორატორიისა — 93-95-16.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

8

უე 07664